



სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების
სააგენტოს დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030220224120620

№ 02-1383/ო

20 / აგვისტო / 2020 წ.

უწყებრივ სანებართვო რეესტრში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს კანონის "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" 36-ე მუხლის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე ბ:

უწყებრივ სანებართვო რეესტრში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

1. სს „ვევექსის ჰოსპიტლები“-ს (ფაქტიური მისამართი: ქ. თბილისი, ლუბლიანას ქ. N21) ნაცვლად, დაფიქსირდეს სს „ვევექსის ჰოსპიტლები" (ფაქტიური მისამართი: ქ. თბილისი, ლუბლიანას ქ. N33) და გაიცეს სტაციონარული დაწესებულების ახალი სანებართვო მოწმობა და მოწმობის დანართები საქმიანობებში:

- ა) დიალიზი;
- ბ) ნეიროქირურგია;
- გ) გადაუდებელი სამედიცინო დახმარება (EMERGENCY);
- დ) ლაბორატორიული საქმიანობა კლინიკური დიაგნოსტიკა;
- ე) ლაბორატორიული საქმიანობა-ბიოქიმიური დიაგნოსტიკა;
- ვ) ლაბორატორიული საქმიანობა-იმუნოლოგიური და სეროლოგიური დიაგნოსტიკა;
- ზ) რადიოლოგიური საქმიანობა - რენტგენოლოგიური დიაგნოსტიკა;
- თ) რადიოლოგიური საქმიანობა - კომპიუტერულ-ტომოგრაფიული კვლევა;
- ი) ქირურგიული პროფილის საქმიანობა;
- კ) გინეკოლოგიური პროფილის საქმიანობა;
- ლ) რეანიმაცია.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში(ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64)

3. ბრძანება ძალაში შედის ხელისმოწერისთანავე.

საფუძველი: სს „ვევექსის ჰოსპიტლები“-ს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ს. ანდულაძის განცხადება N86891, 17.08.2020 წ. და თანდართული დოკუმენტაცია.

დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამგდამსულია
ელექტრონულად

ზაალ კაპანაძე